სახალხო გაზეთი

№ 937 კვირა, 7 ივლისი 1913 წ. ტფილისი № 937

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით დირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე დირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ედირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სტოვოისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მკირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძალიან-პარიკები შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 8. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ანა ივანეს ასული დეკანოზიშვილისა და **ანასტასია ალექსანდრე დეკანოზიშვილის ასული შვილებით** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ დღეს, 7 ივლისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

ალექსანდრე გიორგის ძის **დეკანოზიშვილის**

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 9½ საათზე, პანაშვიდი 11½ საათზე. 419

მატა და მარიამ მამულაიშვილისა და **ნესტორ მამულაიშვილი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ ხუთშაბათს, 11 ივლისს, დავაზზუის (გურიაში) ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ტრადიციულად დაკარგულის: პირველის შვილისა, მეორეს მაზლისა და უკანასკნელის დაუვიწყარ ძმისა

იასონ „ კიკია" ნიკოლოზის ძის **მამულაიშვილის**

სულის მოსახსენებლად. 418

სოფიო ნაბიჭვრიშვილისა, სანდრო, ლევან და **ანა მაისურაძენი, მიხეილ მაისურაძე** და **მარიამ ჯაფარიძისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას: პირველი ოთხი ძვირფასის და დაუვიწყარის დედის, მეორე დაუვიწყარი რძლის, ხოლო მესამე უძვირფასესის დის

მართა ივანეს ასულის მაისურაძისას

დაკრძალვა მოხდება დღეს, 7 ივლისს, კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. გამოასვენებენ: ანნევის ქუჩა, სახლი № 13. დილის 9 საათზე. 420

„თემი"-ს გამოცემა

ს. აბაშელის ლექსთა კრებული

„მზის სიცილი"

ავტორის სურათით და ბ. ივ. გომართლის კრიტიკული წერილით,

ფასი 50 კაპ.

ვინც გამოიწერს ფასდადებით არა ნაკლებ 10 ცალისა, მას დაეთმობა 25%, საკომისიოდ—20%.

1380 მისამართი: გაზ. „თემის" კანტორა, ოლგის ქ. № 4.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წ. ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ"-ზე.

(**წელიწადი მეცხრე**).

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ორიგამოცემა:

მცირე ზომა	მოზრდილთათვის
24 ფურცელი.	**12 ფურცელი.**

ეღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითოეული გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **სასაჩუქრად ამერიკელ მწერალ ქალის პარიეტ ბიჩარ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან** ✦ **„ბიძია თომას ქოხი"**, ✦ სრულ თარგმანს. წიგნში იქნება 80-ზე მეტი სურათი და ჩართული ტექსტები ავტორის სურათი და ბიოგრაფია. თარგმანის რედაქცია და იმგლისური დედანთან შედარება იკისრა **ილია ნაკაშიძემ.** ჟურნალი „ნაკადული" მცირე წლოვან და მოზრდილ. 1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად. **ხელის მოწერა** შეიძლება **ტფილისში**—„ნაკადულის" რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინის პრ. 8, და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.

1140 რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი **ო-დ პავლე თუმანიშვილი.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. ხ-ლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფნა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. ვ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი ბ. ბ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12 ¼—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე 2—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ.-ქალ. ბაძრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½ **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი ბ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10½—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 **ფონდოელი ბ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტეოიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **„606"** და **„914" წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

ახალი კლუბი

სამშაბათს, 9 ივლისს, გაიმართება

—✦ კონცერტი ✦—

ლეიპციგის კონსერვატორიის ლაურეატის, ლისტის სახელობის ჯილდოთი დასაჩუქრებულის

ბერტა ბურშტეინისა

დაუკრავს ლისტის ნაწარმოებთ **ვ. ი. ზელიონის** ლოტბარობით. დაწვრილებით აფიშებში. თეატრში შესასვლელი ფასი 1 მ. 20 კ.—25 კაპეიკამდე. სტუმრები კლუბში შესვლისათვის იხდიან: კაცები—50 კ. ქალები და სტუდენტები—25 კ.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე 1358.

ახალი კლუბი

(საზაფხულო თეატრი)

კვირას, 7 ივლისს, ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთა მიერ **ვ. აბაშიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება.

I — **XX „მოტია" XX** ვოდ. 1 მოქ.

II — **„გულ მაიგრძნო"** დრამა ეტ. 1 მოქ.

მონაწილეობენ: ქ-ნნი ტ. აბაშიძის ასული, ჯავახიშვილისა და ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გუნია, მესხი, მგალობლიშვილი.

დასაწყისი 9 საათზე.

წარმოდგენაზე შესვლა უფასოა. წარმოდგენის შემდეგ ცეკვა, დაუკრავს სამხედრო ორკესტრი. 1358.

ახალი კლუბი

(საზაფხულო შენობა)

კვირას, 7 ივლ. ის 1913 წ.

საყმაწვილო საღამო

თამაში, ცეკვა, ქართული და რუსული საყმაწვილო წარმოდგენა

დასაწყისი საღამოს 5 საათიდან 9 საათამდე.

კლუბში შესასვლელ ფასს სტუმრები იხდიან: მამაკაცნი 50 კ., მანდილოსანნი და სტუდენტები 25 კაპ., ბავშვები—15 კაპ. თეატრში შესვლა უფასოდ. საღამოს 9 საათიდან ქართული წარმოდგენა. 1358

ახალი კლუბი

მუდმივ ყოველ კვირეულ გასართობთა წეს რიგი:

საშაბათობით და შაბათობით

დაუკრავს „ახალ კლუბის" მიერ მოწყობილი

არტისტებისაგან შემდგარი

სიმფონიური ორკესტრი

ვ. ი. ზელიონის ლოტბარობით

სოლისტების მონაწილეობით: სკრიპკა—თავისუფალი ხელოვანი, კუსევეცკის ორკესტრის კონცერტ-მეისტერი **ბ. ი. კრეინინი,** ვიოლონჩელისტი—**ე. ნ. კოპელნიცკი** და გრაფ შერემეტიევის ორკესტრის არფა-არფისტი **ი. ა. პოლომარენკო.**

სამშაბათობით იქნება **სიმფონიური კრებული.** | **და შაბათობით** **ჩვეულებრივი კონცერტი**

ორშაბათობით და **ოთხშაბათობით** საზაფხულო თეატრში გაიმართება

კინემატოგრაფის სეანსები და სიმფონიურ ორკესტრის სამუსიკო განყოფილება.

მცირე ორკესტრი ბაღში დაუკრავს 11 საათიდან ღამის 2 საათამდე.

პროგრამაკეობით:

კინემატოგრაფის სეანსები და **სიმფონიურ ორკესტრის**

ორი განყოფილება ღამის 12 საათამდე. 12 საათის შემდეგ კლუბის დაკეტვამდე **დაუკრავს საზანდარი.**

ხუთშაბათობით.

საოჯახო საღამო-წარმოდგენები, ცეკვა და სამხედრო ორკესტრი.

კვირაობით. საბავშვო საღამოებს გაიმართება (საღამ. 5—9 საათამდე). სიმფონიურ და ჩვეულებრივ ორკესტრების დროს მუსიკის დაკვრის დასაწყისი სწორედ საღამოს 8-ნახევარ ს., კინემატოგრაფის სეანსების დასაწყისი **საღამოს 9 საათზე.** 1225

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკეებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შიგ დაბრუნებისასაც მუშაობს.

მხოლოდ ძმ. ესიკოვსკეების ცირკს შეუძლიან იმის ჩვენება, რაც სხვებს არას დროს არ შეეძლებათ!

კვირას, 7 ივლისს, 1913 წ. გამართება

ორი დიდი წარმოდგენა.

დიდი დილის წარმოდგენა ბავშვებისათვის და მოწაფეებისათვის, ფასები დაწეულია. დილის წარმოდგენა 2 ნახ. საათზე დაიწყება. საღამოს არა ჩვეულებრივი წარმოდგენა. პროგრამა შესდგება მხოლოდ პირველ ხარისხოვან საცირკო ჟანრის ნომრებისაგან. სახელგანთქმული და ერთათ-ერთი მოჯირითე ქალი, ტფილისელთა საყვარელი დღეს გააკვირვებს ხალხს თავის ახალი ქამანდებით (ჯირითის შემდეგ ლეკური). დღეს ხალხის თხოვნით ყველასაგან საყვარელი ხუმარა და მასხარები **ძმ. ვინჩენცოები** გაიმეორებენ თავის საოხუნჯო ანტრეს—**ბარომეტრს** (სიცილი, განუწყვეტელი სიცილი). დღესე მონაწილეობას მიიღებენ. სწრაფ მავალი და ჯამბაზი მავთულებზე **ნიკოლინი** დღეს გამოჩენილი იტალიელი ოჯახი „ბურთი-ადამიანები" **ძმ. დელა-კაზა;** პოპულიარული მუსიკოსები-ექცენტრიკები **გ. ბროკარნები.** კონტრამარკები დღეს არ გამოდგებიან. **ანონსი:** ორშაბათს 8 ივლისს დიდი საბენეფისო წარმოდგენა. **ბენეფისი ტფილისელთა საყვარელის გამოჩენილ მოჯირითე ბულგარელი ქალის თამარისა.**

დასაწყ. საღ. 8 ს. დირექცია **ძმ. ესიკოვსკეები.**

417 გამგე **ლ. მ. ხუნდაძე.**

ბროლის ღიმილი

ი. ბრიშაშვილისა

—✦ **გამოსულია და იყიდება** ✦—

ნ. შეუკაშვილის

პიესა **„ქეგოლგროგა",** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი სალიტერატურო—სამეცნიერო—კრებული

გვირგვინი

ფასი ერთი მანეთი

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქისა.
2. სუმერული ტ ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოჯიდიბოს მეფე, თარგმ. ბერძნულით ბ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე. 1371

ეძებს, ოსი, ჩამოსული, ახალგაზდა, რომელ. აქვს საარეკომენ. ბარათი ბაქოს წყალსად. მართველობისაგან, სამსახურს: საოჯახო საქმეთა გამგისას, მეთვალ. წამყოლ-წამომყოლ., მიმსვლელ-მოსვლ., ჩაფრის, ყარაულ., ნოქრის, ან და სხვა შესაფერ ადგილს. მისამართი კანტორა „დოვერიე" გოლოვინის პროსპ. № 39. 415

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდების მომავალ ხიდის მახლობლად **დაიგრა 20 დესეტინა** მამული **და იყიდება** წვრილ **ნაგრებად** ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლდას ქუჩაზე, სახლი № 8, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან სადამოს 5 ს.-დე.

ბელანეფ. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—1½ ს.

ა. ხუდაბაშვილი. ბავშვ. შინაგანი ავადმ., ყოველ დღე 3—3 ს.

ბოგოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ვორობ..ოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ.. შაბ. და კვირ. 4—5 ს.

გ. ნ. გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

თაყაიშვილ. კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ექ. ქალ. ოხსელიანი. ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

კალამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ლიმონი. კბილ. ექიმი. ყ.-დღე 11—1 ს.

ხაიდანოვი. ვენერიული, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ტ. ი. რუდენკო. შინაგან სნეულ. კონსულტატი. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

ა. ა ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

ბონდოევი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

შამაშა, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

საათვალების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserman"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 408

ექიმი ნინო რცხილაძე

კბილისა

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს., ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახ. მაკარაშვილისა.

ექიმი ა. ბ. სოლოდაშვილი

კბილის

იღებს ავადმყოფებს **აბასთუმანში.**

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** ტ **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ხ. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგანავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს.

ბ. ა. ბოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი ოხსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. ალდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლოგა „606"-ით 1035

დოქტორი მედიცინისა

ბ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს. **სემიონოვის ქ.,** № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 1159

ექიმი ე. ი. მინასიანცი

იღებს **აბასთუმანში.** შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლავთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. ბაქრის ავადმყ. სიმხუქნე, ლოთობა, ქარები) ბლექ. და დამპალი ციება

პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu.

იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. მისამართი: აბასთუმანი ტერ-მარქაროვი აგარაკი. 1071

ექიმი ა. შ. მიქელაძე

15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე **ახალ ბინაზე**—მიხაილოვის პროსპექტი № 117 ტელეფონი 816.

ტფილისი, 7 ივლისი

სასარგებლო კურსები. 15 ივლისიდან ტფილისში უნდა გაიხნას, ქართულ-სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ინიციატივით, საკოოპერაციო კურსები. კურსებზე ლექტორები სხვა და სხვა დარგიდან გადასცემენ მსმენელებს პრაქტიკულ ცნობებს. ვისაც შემთხვევა ჰქონია ამ ნიადაგზე ემუშავა ჩვენებურ სოფელში, დარწმუნებული იქნება, რანაირად აფერხებს კოოპერატიულ მოძრაობის განვითარებას ის გარემოება, რომ სოფელში ძალიან ცოტაა პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი ადამიანი. ჩვენებური სოფელი, განსაკუთრებით გლეხობა, სრულიად გამარტოვებულადა სდგას. ისეთი სოფლებიც კი, რომლებიც დიდს ქალაქებთან ახლოა მდებარეობს, მხოლოდ ქალაქის მცხოვრებთა საგარაკო ადგილებად არის გადაქცეული. გაივლის სულის შემხუთავი ზაფხული, სოფლებში დროებით გახიზნული ინტელიგენცია ქალაქებში დაბრუნდება და მთელი წლის განმავლობაში სოფელი უპატრონოდა რჩება. თუ ასეთ მდგომარეობაშია ცენტრებთან ახლო მდებარე სოფლები, რა ყოფაში უნდა იყოს მიყრუებული სოფლები, ამისი წარმოდგენა მკითხველისთვის მიმინდვია. საერობო თვითმმართველობას შეეძლო ეს ნაკლი შეევსო. საერობო თვითმმართველობის შემოღების შემდეგ გაჩნდებოდა სხვადასხვანაირი დაწესებანი, რომლებიც ინტელიგენციას მიიზიდავდნენ და სოფელთან დაეკავშირებდნენ. ამ-ბინ კულტურულ-ეკონომიური ცხოვრება შესამჩნევლად გაიზრდებოდა და ცხოველ-მყოფელი გაჰხდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად ასეთი დამაბრკოლებელი მიზეზებისა, მიუხედავად ჩვენი სოფლის უკიდურესი სიბეჩავისა, მაინც არიან ისეთები, რომელთაც შეუგნიათ გასაჭირი, უგრძვნიათ, რომ სოფლის ეკონომიურ აღორძინებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, და დაუწყვიათ მუშაობა. ძალიან გამრავლდა საკრედიტო ამხანაგობანი, ბევრგან ჩნდება მწარმოებელი და მომხმარებელი ამხანაგობანი. მიუხედავად ამისა, ეს დაწესებულებანი დიდს მოუხერხებლობას განიცდიან ერთის მხრით იმითაც, რომ კოოპერატიულ დაწესებულებათა მეთაურებს პრაქტიკული ცოდნა არა აქვთ. ზემოხსენებული განზრახული კურსების მიზანია სწორედ ეს ცოდნა მისცეს კოოპერატიულ დაწესებულებათა პრაქტიკულ მუშაკებს. მიზანი ფრიად სიმპატიურია და სასურველი იქნება, თუ ბევრი მსმენელი დაესწრება ამ კურსებს.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ პანაშვიდი შ. ა. ჩიტაძისა და ვ. ბ. ლორთქიფანიძის სულის მოსახსენებლად. პარასკევს, 5 ივლისს, საღამოს 7 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში „სახალხო გაზეთის“ რედაქციის თაოსნობით ქართველმა სამღვდელოებამ პანაშვიდი გადაიხადა ტრაგიკულად დაღუპულ საზოგადო მოღვაწისა და ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიის დირექტორად ნამყოფ შიო ჩიტაძისა და უდროოდ გარდაცვლილ მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ვლად. ლორთქიფანიძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ: „სახალხო გაზეთი“ რედაქციის მთელი შემადგენლობა, ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიის მასწავლებელ-მოსწავლენი, ქართველი ინტელიგენცია, ქართულ საზოგადო დაწესებულებათა და პრესის წარმომადგენლები, განსვენებულთა ნათესავ-მეგობარნი და მრავალი პატივის მცემელი მათის ხსოვნისა. პანაშვიდზე გალობდა ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიის მოსწავლეთა გუნდი ბ-ნ კ. ჩარკვიანის ლოტბარობით.

✦ დიდის მთივრის ჩამოსვლა. გუშინ, დილის 7 საათსა და 16 წ., გუმბრიდან ტფილისს ჩამოვიდა ყარსის რკინის გზით არტილერიის გენერალ-ინსპექტორი მისი უმაღლესობა დიდი მთავარი სერგი მიხეილის ძე. სადგურზე დაუხვდნენ გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი, ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი, გენერალი თ-დი ვ. დ. გაბაშვილი და სხვები. დიდი მთავარი სადგურიდან ავტომობილით ზუბალოვის სახელობის ღარიბთა სახლში გაემგზავრა, სადაც დაწვრილებით დაათვალიერა თვის უავგუსტოესის დიდის მთავრის ოლგა თეოდორეს ასულის ძეგლის საესკიზო პროექტები (სულ ხუთია). ძეგლისთვის ქალაქს 2,000 მან. აქვს გადადებული. ამას გარდა ამ საქმისთვის ფურცლებით ფული გროვდება. 85 ფურცლით შეგროვილია 1,300 მან 56 კ. 255 ფურცელი ჯერ მიღებული არ არის. დიდი მთავარი პროექტებმა დიდად დაინტერესა და სურვილი გამოსთქვა, მისი სურათები გადაიღონ და მის ძმებსაც გაუგზავნონ. შესაფერს ახსნა-განმარტებას აძლევდნენ ქალაქის გამგეობის წევრი მ. ნ. ათაბეგოვი და ძეგლის აღმშენებელ კომისიის თავმჯდომარე ხმოსანი ა. ი. მიტკევიჩი. ამის შემდეგ დიდმა მთავარმა დაწვრილებით დაათვალიერა ღარიბთა სახლი, სამუნიციპალო მუზეუმი. ყავაზე მიწვევის შემდეგ, დიდი მთავარი დილის 11 საათზე მატარებლითვე პეტერბურგს გაემგზავრა ბალაჯარით. ტფილისის სადგურზე დიდს მთავარს დაუხვდნენ: მეფის მოადგილის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალი ნ. პ. შატილოვი, სამხედრო შტაბის უფროსი და სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა წარმომადგენელნი.

✦ პოლიტეხნიკუმი. გუშინ, დილის 9 საათზე, საუწყებათაშორისო კომისიის მცირე კომისია მეფის მოადგილის საბჭოს წევრის მ. ნ. გაკელის მეთაურობით ნავთლუღისა და ლოტკის გორის მიწების დათვალიერებას შეუდგა. დათვალიერებამ ნაშუადღევის 2 საათამდე გასტანა.

✦ გოლოვინის პროსპექტზე მომხდარ უბედურების გამო. როგორც მკითხველებმა იციან, გოლოვინის პროსპექტზე, შიოევისეულ სახლის ქვედა სართულში მაღაზიები დაკეტილია და მისი პატრონები დიდს ზარალს განიცდიან. ქალაქის გამგეობამ ყველა მეპატრონე მაღაზიებისა დააკმაყოფილა და მათთან ახალი ხელშეკრულობა დასდო, რომლითაც მაღაზიებში შემოდგომამდე უნდა იყოს დაკეტილი, ე. ი. იმ დრომდე, სანამ შენობის გადაკეთება და მესამე სართულის დადგმა სრულიად არ დამთავრდება.

გუბერნატორის მოთხოვნით ქალაქის გამგეობამ საგუბერნიო სამმართველოს საალმაშენებლო განყოფილებას წარუდგინა პროექტი და ძთელი მასალა შიოევის სახლის გადაკეთებისა და მესამე სართულის დადგმისა და თან დასძინა, ქალაქის გამგეობა მოვალე არ არის, საგუბერნიო სამმართველოს წარუდგინოს დასამტკიცებლად ასეთი პროექტები; პირიქით, ამ საქმეს თვით ქალაქის გამგეობა განაგებს და პროექტებსაც თვით ამტკიცებსო.

✦ ახალი გამოგონება თ-დს ირაკლი ვასილის ძე ვაჩნაძეს, რომელმაც თვით-მოძრავი სავარძელი გამოიგონა, ახლა გამოუგონია წყალში საცურაო აპარატი: მოცურავეთა და ზღვით მოგზაურთათვის. აპარატი კაცს შეძლებას აძლევს თავისუფლად იცურაოს წყალში, როგორც თევზმა და დიდხანს დარჩეს. ამ აპარატის გამოგონების აზრი თ-დს ვაჩნაძეს პირველად თავში მოსვლია „ტიტანიკ“ის დაღუპვის შემდეგ.

✦ ტრამვაი. როგორც მკითხველებმა იციან, ტრამვაის დირექცია ზოგიერთ შტოზე მგზავრებს შაურის მაგივრად რვა კაპეიკს ახდევინებს, მაგალითად ერევნის მოედნიდან მუშტაიდით ვაგზალზე მისვლაში. ამის გამო გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას მოსწერა, რომ ეს ხელშეკრულობას ეწინააღმდეგება და ახალი ტარიფი დაუყოვნებლივ უნდომ გაუქმებულ იქმნასო, მით უფრო რომ წინად, 27 წლის განმავლობაში ყოვლთვის შაური იყოო.

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ **ჯეჯილის** მე-6 (ივნისის) ნომერი შემდეგის შინაარსით: სურათი. ორი მეგობარი. ალავერდი (გოგია მირიანაშვილს) ლექსი შიო მღვიმელისა. მოყვარე ყოფილა და არა მტერი (თარგმანი) კუდრაჭასი. ეშმაკური სანთელი (ფრანგულიდან) არ. ავ—ინ. გატეხილი ფინჯანი (ბიკოვიდან) კუდრაჭასი. აჩიკო და თაფლი. ლექსი ვ. რუხაძისა. პატარა ტარიელი, ზღაპარი ალ. ნათაძისა. წვრილმანი: გამოცანები, ზმა, აკროსტიხი, შარადა და სხვ. სურათები, ლექსი გელასი. პირველ-ყოფილი ადამიანის და ეხლანდელი ველურების ყოფა-ცხოვრება ლუნკევიჩისა, (გადმოკეთებული) იტა ნაკაშიძისა. მოკლე ცნობები თვალთ უჩინარ ცხოველთა და ძცენარეთა ცხოვრებიდან (უმარტივესი ცხოველები) ივ. თიკანაძისა. მტკვრის სათავე, ჭოროხი და თამარ მეფე. მგზავრის დღიურიდან—ილ. ალხაზიშვილისა. ორი ძმა. ისტორიული მოთხრობა ორტმანისა, (და თარგმანი ირაკლი ფერაძისა. ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა (თომა ალვა ედისონი).

✦ ცნობილი რუსი მწერალი კუპრინი, რომელიც ამ ჟამად კისლოვოდსკში იმყოფება, აშ დღეებში ტფილისს ესტუმრება.

✦ ტფ. საბირჟო კომიტეტთან არსებობს საარბიტრო კომისია, რომლის დადგენილებასაც, კომიტეტის ინსტრუქციის მე-24 მუხლის ძალით, ყველა ვაჭარი უნდა დაემორჩილოს. ამ დღეებში კომისიის დადგენილებას არ დაემორჩილა ძმ. ბაღდასაროვის სავაჭრო სახლი. ამის გამო ბაღდასაროვის გვარი ამ ჟამად გამოკიდულია საბირჟო კომიტეტში ეგრედ წოდებულ „შავს დაფაზე“. დაფაზე ვაჭრის გვარის გამოკიდვის მაგალითი ეს პირველია. ბაღდასაროვებს დღეის შემდეგ ნება აღარ აქვთ, რაიმე საქმისთვის საარბიტრო კომისიას მიმართონ.

✦ ფქვილისა და საკლავ საქონლის ფასმა საბირჟო კომიტეტის ცნობით უკანასკნელ ხანში შესამჩნევად იკლო. ამის გამო ქალაქის საკაჭრო-სამეურნეო კომისიამ დაადგინა, პურისა და ხორცის ნიხრი გადაათვალიეროს და შესაფერად შესცვალოს.

✦ გ. დ. ჟურული, ქალაქის გამგეობის წევრი, დასასვენებლად გაემგზავრა. მის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა გამგეობის წევრის თანამდებობის აღმასრულებელი, ქალაქის მდივანი, მ. ა. ჯაბარი.

✦ ქარის წისქვილები ტფილისში. ბერლინის ერთ დიდის ფირმის წარმომადგენელმა გუსტავ ტრახელმა ქალაქის გამგეობას მიმართა წინადადებით, მისცეს მას იჯარით გრძელის ვადით საქალაქო მიწა, რომელიც კუკიის მართლმადიდებელ სასაფლაოსა და ეგრედ წოდებულ „ღრმა ღელე“-ს შუა მდებარეობს. ამ მიწაზე, სადაც მუდმივი ქარი ჰქრის, ტრახსელს ქარის წისქვილების გამართვა სურს.

✦ გუბერნატორმა ნება დართო: ბორჯომის ქალთა საზოგადოებას, გამართოს 14 ივლისს ბორჯომში სეირნობა თავის ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად და თ-დს დ. კ. ერისთავს, გამართოს სოფელ მეჯვრისხევში წარმოდგენა იქაურ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ.

✦ მეფის მოადგილის თანამდებობის აღმასრულებელმა ნება დართო ტფილისის მცხოვრებს ნ. მაჰავარიანისას, **ავტომობილი** ამუშაოს ბორჯომ-აბასთუმანსა და გორ-ცხინვალს შორის.

✦ მტკვარში ბანაობის გამო. წელს ერთობ ბევრი იყო მაგალითი ბანაობის დროს მტკვარში დახრჩობისა. ასეთი უბედურებანი ძომეტებულ შემთხვევაში იმის გამო ხდება, რომ არ არის გამოკვლეული, რომელი ადგილია საშიში ბანაობისთვის და რომელი არა. ამის გამო ქალაქის გამგეობამ დაადგინა, შეადგინოს საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს მტკვრის ორივე ნაპირი ქალაქის საზღვრებში და გამოარკვიოს ისეთი ადგილები, სადაც ბანაობა საშიში არ არის.

✦ დღეს, 7 ივლისს, ახალ საფრენ მოედანზე, საჯირითო მოედნის იქით, **იფრენს თავისი მანქანით ბესარიონ ქებურია.** ფრენა საღამოს 5 საათზე დაიწყება. თუ ცუდი დარი იქნა, ფრენა სხვა დღისათვის გადაიდება.

✦ სასმელი წყლის ძებნაში. ქალაქის გამგეობის დავალებით ქალაქის ქიმიკოსმა გ. გ. ალიბეგოვმა გამოიკვლია ღირსება წყაროებისა, რომელიც მდებარეობს თიანეთის მაზრაში ბ-ნ შანშიევის მამულში და აღიარა: წყალი გემრიელია, მსუბუქი და ღირსებით ბევრად მაღლა სდგას ავჭალისა და ნატახტარის წყალზე, მხოლოდ იქ წყალი იმდენად ცოტაა (დღეში ერთს მილიონ ვედრა წყალს იძლევა), რომ ტფილისს, რომელსაც დღეში სამ მილიონ ვედრამდე სჭირდება, არ ეყოფაო. წყლის სიმცირის გამო ბ-ნ შანშიევის მამული წყაროების სხვა მხრივ გამოკვლევას ქალაქის გამგეობა აღარ გააგრძელებს.

✦ საბირჟო ცნობები. 6 ივლისს, პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტ. საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ – 85 მან. 25 კ., აძლევდნენ —84 მან., 10 კ. (შეთანხმება მოხდა 3,000 მ. 84 მ. 30 კ.), ტფ. სათავადაზნა. საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ —83 მ. 25 კ., აძლევენ—82 მ. 75 კ., ქუთაისის. სათავ.-აზნაურ. საადგილ მამულ. ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—81 მ., აძლევდნენ—80 მ. (შეთანხმება მოხდა 80 მ. 10 კ.) და სახელმწიფო მომგებიან ბილეთებისა: 1 სერიისა—470 მ., მეორისა—34 მ. და მესამისა—312 მ.

საზოგადოებანი და კრებები

✦ ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ თავის უკანასკნელ კრებაზე, სხვათა შორის, განიხილა შუამდგომლობა კიევის საკომერციო ინსტიტუტთან არსებულ ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრისა, რომელსაც განუზრახავს, ამ ზაფხულს შორაპნისა და ქუთაისის მაზრაში მევენახეობისა და მეღვინეობის საერთო საეკონომიო მდგომარეობა გამოარკვიოს და სასტატისტიკო გამოკვლევა მოახდინოს წრე ამ საქმისთვის საზოგადოებას დახმარებას სთხოვდა. საბჭომ დაადგინა: მიეცეს წრეს 100 მან. ხოლო ფულის გაგზავნამდე შეეკითხოს, რამდენის კაცისაგან შედგება წრე და საზოგადოდ როგორ ორგანიზაციას წარმოადგენს იგი.

✦ ტფ. თერძებს, რომელთაც საპროფესიო კავშირის დაარსება აქვთ გადაწყვეტილი. დღეს, დილის 10 საათზე, სახალხო სახლში საორგანიზაციო კრება ექნებათ! სხვათა შორის, შეიძუშავებენ კავშირის წესდებას.

✦ საბირჟო კომიტეტმა თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა, დაავალოს კომიტეტის მდივანს გ. ი. ხატისოვს, შეადგინოს მოხსენება ამ საკითხზე: „საბირჟო. კომიტეტების როლი საზღვარ გარედ თავიანთ ქვეყნების ექსპორტების გავრცელების საქმეში“. მას დაავალა, შეადგინოს მოხსენება უცხო სახელმწიფოებთან დადებულ საკაჭრო ხელშეკრულობათა გადასინჯვის შესახებ, რომელიც 1917 წელს უნდა მოხდეს.

სასწავლებლებში

✦ კიევის საკომერციო ინსტიტუტის საეკონომიო განყოფილება წელს შვიდმა ქართველმა გაათავა. მათი გვარები: პ. ი. აბესაძე, მ. ფ. ბარბაქაძე, შ. ზ. გოგებაშვილი, ა. დანელია, ა. მ. კაპანაძე, ლ. ლ. რუხაძე და მ. ჩხაიძე.

სასამართლო

✦ ტერ-პეტროსოვის (კამოს) გაქცევის საქმე სენატმა ხელ-მეორედ გასარჩევად ტფ. სამოსამართლო პალატაში დააბრუნა, რომელიც საქმეს 13 ივლისს გაარჩევს.

✦ სტუდენტის კ. გელოვანის საქმეს სენატის დადგენილების თანახმად ტფ. სამოსამართლო პალატა ხელ-მეორედ გაარჩევს. საქმე გაირჩევა 13 ივლისს. სტუდენტი სამართალში მიცემულია სისხლის სამართლის მე-1024 1 ნაწილის მუხლის ძალით.

✦ მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა არჩევნების გამო სამართალში მისცეს ამომრჩეველნი მაკედონსკი და სხვები. ბრალად ედებათ არჩევნების დროს ბოროტმოქმედების ჩადენა. საქმეს გაარჩევს ტფ. ოლქის სასამართლო 17 ივლისს.

ძუთაისი

✦ წესიერი დასვენება. ამ სავალდებულო დადგენილებას საფუძვლად უდევს ტფილისში არსებული სავალდებულო დადგენილება. რაც შეეხება სახელოსნოებში მომუშავეთათვის სავალდებულო დადგენილებას, შუამდგომლობა აღძრეს გუბერნატორის წინაშე, რომ დროებით დარჩეს ძალაში ის წესი, რომელიც არსებობდა მდგომარე წლის მაისის თვემდი; შემოდგომაზე კი შემუშავებულ იქმნება ახალი სავალდებულო დადგენილება.

✦ გუბერნატორმა დაამტკიცა ხორცისა და პურის ნიხრი. მორეკილი საქონლის პირველი ხარისხის ხორცი უნდა იყიდებოდეს გირვანქა 14 კაპ. მეორე ხარისხის—13 კაპ.; ადგილობრივი საქონლის ხორცი პირველი ხარისხის—12 კაპ., მეორე ხარისხის—11 კაპ. კამბეჩის ხორცი—9 კაპ., სუკი—ერთ აბაზად, ძუძუმწოვარა ხბოს ხორცი—სამ შაურად; პურის ნიხრი კი შემდეგია: ა) ფურნის პური—1 ხარისხის ოყა (სამი გირვანქა)—13 კაპ., მეორე ხარისხის—11 კაპ. და მესამე ხარისხის—9½ კ. ბ) თორნის პური—პირველი ხარისხის 3 გირვანქა—14 კაპ., მეორე ხარისხის—12 კაპ. და მესამე ხარისხისა—10½ კაპ.

სოფლად

✦ სოფელ ახალ-დაბაში შინაურ უთანხმოების ნიადაგზე **ჩხუბი მოუვიდათ** აქაურ მცხოვრებთ, კულა და მიხა არეშიძეებს. კულა და მისი შვილი კოტე დახვდნენ სოფლის ბოლოს მიხა არეშიძეს. შვილმა ჯოხით, მამამ რკინის სამთითით იქმადე სცემეს, ვიდრე 50 წ. კაცი არ დაოსეს.

დღიური

ავადმყოფ პოეტისათვის

ავად არის ჩვენი ნიჭიერი პოეტი, იმედიანი და სიცოცხლისკენ მომწოდებელი, დღეს მწარედ ნაღვლიანი და ღრმად სევდიანი, მაგრამ ისევ გულგაუტეხელი, გულის ამმგერი, გამამხნევებელი, ყველასგან ცნობილი, ყველასი დამაინტერესებელი, ყველასთვის ძვირფასი პოეტი ირაკლი ვინ არის ეს „ზღვის ქალი“, თუ არ უცნაური ხატება სიყვარულისა? საბედისწერო მიუწვდომელის და გამოუცხობელის გრძნობისა. მომჯადოვებელი სახე, შიშველი ტანი თავბრუს ახვევს, ათრობს ადამიანს, რომლის სევდა-ვაება გამოფხიზლების შემდეგ ათასდება და ათი-ათასდება. „მისი ვერცხლივით წკრიალა ხმა ლხენის მუსიკად ეფინებოდა მყუდრო გარემოს და ნიავის მსუბუქ ფრთებზე შემჯდარი, სანაპიროებისაკენ ივლტოდა ადამიანთა სუსტი ნების საცდელად და საცდუნებელად“. და ქალი მღეროდა გრძნეულ სულის აღმაშფოთარ სიმღერას, რომელიც მითიური, ერთგვარი რელიგიურ-სიმბოლიური გამოსახვაა სიყვარულის შარავანდედით მოსილ გრძნობად ქცეულის სქესებრივ ლტოლვის ინსტინქტისა.

„ზღვის უფსკრულში, სადაც სხივი
„ვერ ჩასწვდება მწველი მზისა
„სადაფია დაძირული...
„შიგ სიცოცხლის აზრი ზისა.
„ცა ხმელს ებრძვის მის საუფლოდ,
„მოდგმას მოდგმა, ერსა ერი;
„ვინ განიცდის მის სიმეს
„ვინ გახდება ბედნიერი?

—

„მიწის შვილნო, მოდით, გამცნებთ;
„ყური უგდეთ ჩემ სიმღერას,
„მასში ისმენთ სიცოცხლის აზრს,
„მასში ჰპოებთ ბედისწერას!“

თუ ეს ლექსი იმის დამამტკიცებელია, რომ ძალიან მდიდარი აზრი შეაძლოა ძალიან ღარიბ სამოსელში იქმნეს გამოხვეული (ლექსის შესახებ მოგახსენებთ), სამაგიეროდ ნიჭიერად და ღრმად არის გარკვეული სიყვარულის მძლეთა-მძლეობა და მისი მიმტაცი წარმავალობა და დაუდგრომლობა. „კი „სიცოცხლის აზრია“, მის საუფლოდ ცა ხმელს ებრძვის, მოდგმას მოდგმა, ერსა ერი“, ხოლო მცირეა და არც კი ვინ იცის, არის თუ არა ის, რომელსაც „განუცდია მისი სიამე“ და თუ განუცდია გამხდარა, თუ არა იგი ბედნიერი; და თუ წუთიერი ყოფილა ეს ბედნიერება, ხანგრძლივად შეუნარჩუნებია იგი თუ არა. ეს ზღაპარი მომხიბლავი, არ ვიცი სხვაგვარად რა ვუწოდო მას, შემდეგია: ზღვის პირად იმყოფება „ზღვის მკრალი ნისლითა და მწუხრის გამქვირვალე ბინდით უცნაურად მოკაზმული ობოლი კლდე—„ცდუნების აკვანი“. აქ, მის ძირში, ბინადრობს „წარმტაცი შვენების ზღვის ქალი“. ეს ქალი „მთვარის ყოველ ცხრომაზეო“—მოგვითხრობს ავტორი, „იმ დროს, როცა კრებული თვის შუქის პირველ ისარს ჰკრავს მის სპეტაკ შუბლს, ზღვის მძინარე უფსკრულიდან სიცილ-ხარხარით ამოცურდება და სვიასავით მოქნილ ტანს ობოლი კლდის კალთებზე ანებივრებს“. გავყვეთ ქვევით ამ აღწერილობას, რათა დაუკვირდეთ ყოველ სტრიქონს, თითოეულ სიტყვას—მათ სიმბოლიური მნიშვნელობა აქვთ.

„ჯოჯოხეთური ვნების ქროლვით ათრთოლებული მკერდი მისი ხარბად ისუნთქავს, ცხელ ნიავისაგან მონაბერს, ხმელეთის სუნს, ჩვეულ ტრფობის მოლოდინში ელდის კანკალით იგრიხება გრძნეული ტანი მისი. ღაღად ნაკვეთი მარმარილოს მკლავები, რომელთაც არა ერთი და ორი მიწის შვილი ჩაუხრჩვიათ ტკბობის მორევში, მოუთმენლად იწვევენ გრძნობის ამყოლს, ახალ-ახალ მსხვერპლს. გრძელი, აბრეშუმის ნაძახ ძაფივით დახვეწილი, ოქროს ფერი თმა ჰფარავს მის სხეულს და ამიტომ ადამიანიც დაუსჯელად ვერაოდეს იხილავს მის სიტურფეს. განთიადის დაძვრამდე განისვენებს იგი იქ და თვისი მომჯადოებელი სიმღერით ჰხიბლავს მეთევზეთა ბ მგზავრთ. ვინ მოსთვლის მის ჯადოქრულ ტრფობის მსხვერპლთა რაოდენობას? გაუმაძღარია მისი ნდობა და უშრეტი ვნება მისი. ხოლო, როდესაც კის კიდურს აღდგომის კვერცხივით წითლად შეჰღებავს პირველი სხივი მხურვალე მზისა, განცდილ სიამისაგან მოდუნებული იგი კვლავ ზღვის წიაღს უბრუნდება, რათა მის მარილიან წყალში ხელახლად ჰპოვოს უკვდავი ძალა სამარადისო ლხენისა“.

ყოველივე ეკვს გარეშე უნდა დავაყენოთ ის მოსაზრება, რომ იგი „ზღვის ქალი“ სიმბოლიური სახეებაა სქესობრივის გრძნობისა. მაგრამ საინტერესოა ამ გრძნობის თვისებების გამომსახველი ეპიტეტები, რომლითაც ამკობს ავტორი „ზღვის ქალს“. იგი ინსტინქტი, გნებავთ ლტოლვილება, ჯოჯოხეთური ვნების ქროლვაა“ მით გამსჭვალული ტანი ელვის კანკალით იგრიხება“, მის ბრჭყალებს, „არა ერთი და ორი მიწის შვილი ჩაუხრჩვია ტრფობის მორევში“, მისს სამეუფო „სხეულს ოქროს თმა ჰფარავს და ამიტომ ადამიანიც დაუსჯელად ვერაოდეს ვერ იხილავს მის სიტურფეს“, მისი მოციქული, მავთული, რომელსაც მიაქვს ძლევა-მოსილი ტოკი, ერთგვარი უმავთულო ტელეგრაფი „მომჯადოებელი სიმღერაა“, რომლითაც იგი „ჰხიბლავს მეთევზეთა და მგზავრთ“ ეს სიმღერა ჰიმნია ჯერ უთქმელი და მარადის დაუსრულებელი გალობაა „ხორციელების მათრობლის სიტურფისა და მისი უკვდავი მძლეობისა“ „გაუმაძღარია მისი ნდობა და უშრეტი ვნება მისი“; იგი მაშინ არის დაკმაყოფილებული, როცა მსხვერპლს ათასს, ათი ათასს მილიონ მსხვერპლს ჩაახრჩობს „ჯადოქრულ ტრფობის“ ზღვაში; დაკმაყოფილებული „განცდილ სიამისგან მოდუნებული“ იგი იკრებს ძალის სამყაროს სტიქიათა შორის: „ხარბად ისუნთქავს ხმელეთის სუნს“, ზღვის „მარილთან წყალში ხელახლად ჰპოვებს სამარადისო ლხენის უკვდავ ძალას“, ასეთი საშინელია და, თან სიტკბო-სიამის მომნიჭებელი, ეს უცნაური, საბედისწერო ძალა, ეს მიუწდომელი „აზრი სიცოცხლისა“, ეს მარადის მოუპოვებელი „ბედისწერა“ ვნებათა სიამ-ტკბილობისა.

და აი ამ ფატალურ ზღვის მშვენიერებას იხილავს ყმაწვილი მეთევზე და საუკუნოდ გაეხვევა ტრფობის „უშრეტ“ ალში და გაებმება უსწორ-მასწორო, ცხადად წასაგებ ბრძოლას „თავაშვებულ ნდობის გააფთრებულ წყურვილთან“ და დაირღვევა მისი სულის მშვიდობა, იგი შეიქნება აშლილ სქესობრივ ინსტინქტთა ყურმოჭრილი მონა, თუმცა მათი ერთად-ერთი დამაკმაყოფილებელი და გამაცოცხლებელი „ზღვის ქალია“, მის შესახებ ჰფიქრობს იგი, მის შესახებ ოცნებობს ყოველ წუთში, იგია მისი სულის ჩამდგმელი და ვნებათა აღმძვრელი, ვინაიდგან იგი სიმბოლოა ძლევამოსილის „მგრძნობელობისა“ მის „გონების თვალს ცხადად წარმოუდგებოდა ხოლმე გრძნეულის შიშველი ტანი“... ალმასის შავი ცეცხლით ანთებული განიერი თვალები“, რომელთაც „უტყუარი სისწორით უნდა ამოიკითხონ (ვაჟის) თვალებში უტეხი ნდობის ბურუსით დაჩრდილული ერთგულება“; თვალწინ დაეხატებოდა ქალის „თასმასავით მოქნილი და მძლე კლავები“, რომელნიც „სულის შემხუთველი მჭიდროობით ჩაიკვრენ გულში ვნებით აკანკანებულ მის სხეულს და უსირცხო აშკარაობით ჩაითრევენ თავდავიწყების უძირო მორევს“.

და ამ საოცნებო, საზღაპრო არსებამ უცნაური პირობა დაუდვა ვაჟს: „თუ გსურს იგემო სიტკბო ჩემი სიყვარულისა, იცოდე, რომ ჩემი მწველი კოცნით დაღ-დასმულ შენს ტუჩებს არაოდეს უნდა მიეკაროს მიწიერი არსების ცოდვილი ბაგე. გახსოვდეს, რომ ამ ქვეყნიური სიყვარული უმალვე სიკვდილის ამბორად გადაექცევა შენ სულს“... და ვადად ცხრა თვე დაუდვა. თუ განსაცდელს ბედნიერად გაივლიდა, მიწიერი არსება არ გაიტაცებდა, მიწიერის „ცოდვილი ბაგე“ მას არ შეეხებოდა, მაშინ „ზღვის ქალი“ მისი გახდებოდა.

და ვაჟი შეუდგა პირობის აღსრულებას, „იგი გაექცა სოფელს, ვით ოდესმე სულის განსათავისუფლებად უდაბურს მთაში ლტოლვილი მამეგი“. იგი საშინელს ტანჯვაში იყო, ვინაიდან უღრანი ტყე, რომელსაც იგი შეეფარა, სავსე იყო მაცდურებით: ტყის ალ-ქაჯნი, ტყის ქალნი ზოგი თვალებიდან „ცეცხლის მწველ ისრებს აფრქვევდნენ ყმაწვილის გარინდებულ სხეულს, რომელშიაც ფერფლ-წაყრილ ნაკვერჩხალივით სთვლემდა არა ნაკლები ძლიერების ვნება, საშინელი აღთქმით შეკრული და დროებით მიძინებული“; ზოგი კიდევ „ოდნავ გასაგონი ჩურჩულით უამბობდნენ ტკბილი ცდუნების საამო ზღაპარს. შიშველი სინორჩით გაქათქათებულს მათ ტან კდემის სამოსლად ეფინებოდა გრძელი შავი თმა, რომლის უხმო სრიალი სიყვარულის ბანგით თრობას უქადდა მხილველს, ხოლო ორად გახეთქილი მწიფე ბროწეულივით ჩაკურწული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიონ ევდოშვილი. ავად არის მძიმედ, სერიოზულად, ნახევარი ფილტვები დაზიანებული აქვს, ლოგინად არის ჩაიარდნილი; ცხოვრობს ამ ჟამად ცემში ერთს პატარა ოთახში მოკლებული ჯეროვან ექიმობას, წამლობას, ყურადღებას. მე რომ ისევნახე საბანში გამოხვეული, გამხმარის ტანით, ჩავარდნილი თვალებით, მძიმედ მსუნთქავი, სახეზე ოფლ გადასხმული, დაღლილ-დაქანცული, მეტად სუსტი, უძლური, თვალწინ წარმომიდგა არა ერთი და ორი უბედური შვილი ჩვენის ქვეყნისა, უდროოდ დაღუპული, უდროოდ გაწირული ჩვენგანვე, მსხვერპლი ჩვენის უგულობისა, ჩვენის საზოგადოებრივ თვალთმაქცობისა, ჩვენი დღევანდელი ეროვნული ტრაგედიისა. დავლინდი ძალზე, განახლდა ჩემი ჭრილობანი და იარები, სიმწარის ნაღველი გასკდა ჩემს გულში და უხმო ოხვრა სიღრმეში ჩაკვდა.

რატომ ვართ აგრე უგრძნობნი, მოწყვეტილნი ერთი-მეორეს და მეგობრულის ღიმილით არ მივეგებებით ცოცხალს და მხოლოდ საკურთხით, აღაპით, ლიტონის ცივ გვირგვინით მოვიგონებთ გარდასრულს, დაკარგულს?!

მომაგონდა ის დრო, როდესაც სხვებთან ერთად ევდოშვილი ხელ-ფეხ შებორკილი, ოდნავად მოკეთებული ავადმყოფობის შემდეგ, ხილინდარ გადაგდებული მხარზე გაემგზავრა მეტეხის ციხიდან უცხო მხარეს, მიუკარებელს, მიუთვისებელს, მტრულად მიმღებს. დაჭრილი, დაღალული იყო მაშინ მისი გული, სახე დაღარული ჰქონდა მწუხარებით, სული აშფოთებული და უფსკრულში ჩამარხულის სიყვარულით გადასცქეროდა გამოსათხოვრად მშობელს არეს, მაგრამ არსაიდან ისმოდა მანუკეშებელი ხმა, არვინ უწვდიდა ხელს, არავისი თვალი უგზავნიდა შორიდან მაინც სალამს გამამხნევებელს. სდუმდნენ ყველანი, ვის დუმილსაც მუდამ აღიღებდა პოეტის აღმაფრთოვანებელი მშვენიერი ლექსი, ეძახათ, ვისაც აღვიძებდა პოეტის კეთილშობილი მოწოდება; გული გაიცივეს, ვისაც ცეცხლს აუნთებდა პოეტის მძლავრი სიმღერა.

ციხე ტანჯვა აქ, ავადმყოფობა, ქონებრივი შევიწროვება ოჯახისა, გადასახლება, ორი თვე ეტაპით მგზავრობა ყოვლად საზიზღარ პირობებში, მერე ცხოვრება ვოლოგდას გუბერნიის უზომოდ ცივს მიყრუებულ სოფელში, იქიდან ასტრახანის გუბერნიაში გადმოყვანა—აი გზა ი. ევდოშვილის უკანასკნელის ცხოვრებისი. იგი ძეტად ეკლიანია, აღსავსე მრავალის სულიერის და ხორციელის ტანჯვით, წამებით. ამან მოსტეხა პოეტის ძლიერი ჯანი, დასუსტა, დაავადმყოფა და დღეს ლოგინად ჩააგდო, სუნთქვა შეუკრა და სიმწარის ოფლით დანამა მისი სხეული.

პოეტი შეიწირა ჩვენი ცხოვრების ტრაგედიამ. მაგრამ ნუთუ ჩვენც მსხვერპლად შევიწირავთ მას, ჩვენც მისი მოძმენი, და ჩვენთვის დატანჯულს, ჩვენთვის სულისა და გულის გამწირველს არ მივხედავთ დღეს დავადებულს ტ მეკობრულის გულთბილობით არ შევუმსუბუქებთ ტანჯვას არ დავეხმარებით, არ აღვადგენთ და არ დავუტკბობთ დღეებს? მას სჭირია სასწრაფო დახმარება, ფრთხილი მოვლა, სერიოზული წამლობა, თორემ შეიძლება ფილტვების მეორე ნახევარიც დაუზიანდეს და მაშინ ამაო იქნება ყოველივე ცდა, და ჩვენი პასუხის მგებლობა უზომო და დანაშაული გაუსწორებელი.

გარდაცვალებულის პატივისცემა ვიცით, მაგრამ ამ პატივისცემაში ბევრია სათვალთმაქცო, საგარეო, სასეირო. ცოტაა ნამდვილი ნაღველი, მწუხარება, ცრემლი. საშინელია ფარისევლობა და არა გულწრფელობა სიკვდილის წინაშე. მიუტოვებელია სიყალბე, ნიღაბი, ორპირ ობა ცხოვრებაში, მაგრამ ათწილ შეუწყნარებელია ცრუობა ჩვენის არსებობის უდიდეს საიდუმლოების წინაშე. დეე, განვიდეთ ამ ცრუობისაგან, ვიქონიოთ ამისი გამბედაობა და ნუ შევამკობთ ჩვენი მოღვაწეების კუბოებს ყვავილებით (ხელოვნურის ყვავილებით!) და ნუ გავფანტავთ მათი საფლავების სიჩუმეს ჩვენის მყვირალა სიტყვებით. დეე, ეს ჩვენი სუსტი გულის ძგერა, ეს წუთიერი ამოძრავება, ეს გაპატიოსნება მიცვალებულისა გადმოვიტანოთ ცოცხლებზე და ცოცხალს უძლურს, ავადმყოფს, გაჭირვებულს მოვახმაროთ, რაც შეგვიძლია, რის ძალაც შეგვწევს. განვუგრძელოთ ცოცხლებს დღენი, შევუმსუბუქოთ ტკივილები, გავუმთელოთ იარები—ეს უფრო მშვენიერია, ეს უფრო საჭიროა, ეს უფრო სავალდებულოა. მკვდრისათვისაც ეს მეტი პატივისცემაა, რომ ცოცხალი გვიყვარდა, ვცდილობდით მის დღეგრძელობას და არ მოვაკლებდით მზრუნველობას. მაშინ მიცვალებულსაც ერთი უბრალო დაფნის ფოთოლი ან პატარა ია უფრო გაახარებდა, ვიდრე ურმებით მიტანილი ყვავილები და გვირგვინები.

მძიმე ავადმყოფი პოეტი მოითხოვს ჩვენგან ყველასაგან დაუყონებლივ მეგობრულს თანაგრძნობას, დახმარებას წრფელს, და ნუ დავიზარებთ ამას, ეს ძნელი არაა, მოვინდომოთ!..

სიტყვა.

პროფესორ ნიკო მარის მოღვაწეობის 25 წლის შესრულების გამო

2 ივლისს შესრულდა 25 წელი პროფესორის და აკადემიკოსის ნიკო მარის მოღვაწეობისა, ვინ არ იცნობს ჩვენში ნ. მარს, თუ პირადად არა, მის ნაწარმოებთა შემწეობით მაინც? თავდაპირველადვე მისი ყურადღება ქართულ-სომხურ კულტურათა გამოკვლევისაკენ იყო მიქცეული და 25 წლის განმავლობაში მან კაცობრიობისათვის ისეთი დიდებული შრომანი შეჰქმნა, რომელთა გვერდის ახვევაც არ შეუძლია არც ერთს მეცნიერ ორიენტალისტს. ნ. მარმა დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტი 1888 წელს. ამავე წელს ეკუთვნის მისი კაპიტალური ნაწარმოებთაგანი: „ქართული ენის ბუნებისა და თვისებათა გამოკვლევის თეორია“ შემდეგ შეუდგა სომხებისა და ქართველების სამოქალაქო და სასულიერო ლიტერატურის შესწავლას. ამ მხრივ მის ნაწარმოებთა რიცხვი ძლიერ დიდია. არც ერთი ენციკლოპედიური ლექსიკონი არ გამოსულა ისე, რომ ნ. მარის ცოდნით არ ესარგებლოს. გარდა ამისა ნ. მარი დიდ ყურადღებას აქცევდა საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო მეცნიერებას. იმისი ენერგიისა და უნარის წყალობით სომხებმა „კვლავ დაიბრუნეს“, მიწაში დამარხული უძველესი სომხური ქალაქი, ოდესმე საქართველოს პროვინციად ყოფილი, ანისი, რომლის არქეოლოგიური ნაშთები და სიძველენი კაცს აკვირვებს ძალალი კულტურითა და სიმდიდრით. იქვე ძოაწყო მან საუცხოო მუზეუმი, სადაც დაცულია ძველებური ნაშთები, ნივთები და სხვა. ყოველწლივ, ზაფხულობით, ნ. მარი თავისი მოწაფეებით ჩამოდის აქ და განაგრძობს მუშაობას. მისმა მოწაფეებმა ამ ძველებურ ქალაქის ერთს უმთავრეს ქუჩას ნ. მარის სახელი უწოდეს, თვისი მასწავლებლის პატივსაცემლად.

1909 წელს ნ. მარი აირჩიეს ს.-პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის ადიუნქტად. 1910 წლის დასაწყისში სამეცნიერო აკადემიის სადღესასწაულო საჯარო სხდომაზე მან ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა, სადაც აღნიშნა, თუ რა დიდებული საქვეყნო კულტურა იყო აღმოსავლეთის კულტურა და თუ როგორ შენახულა ეს კულტურა ამიერ კავკასიაში. აქვე ის ურჩევდა მსწავლულთ, რომ უმაღლესი აკადემია აღმოსავლეთის შესასწავლად აქ უნდა დაარსდეს და აქით პირველობა არ დაუთმონ დასავლეთ ევროპას მეცნიერთ. ნ. მარი ითვლება ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტის დეკანად და ამავე ფაკულტეტზე კითხულობს ლეკციებს.

1906 წელს ნ. მარი, სხვათა შორის, იღებდა მონაწილეობას სინოდის კომისიის მუშაობაში, რომელსაც უნდა განეხილა საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა. იგი მედგრად იცავდა ავტოკეფალიას, რის გამოც ბოლოს იძულებული გახდა სხვებთან ერთად წასულიყო კომისიიდან.

განსაკუთრებით რუსეთში და საერთოდ მთელ მსწავლულ სფეროში ნ. მარს ისეთი პატივი აქვს დამსახურებული, რომ საკმარისია მისი ავტორიტეტის მოყვანა რომელიმე დებულების დასასაბუთებლად, რათა იგი უეჭვო გახდეს. პირადად მე მახსოვს, ს.-პეტერბურგის საგეოგრაფიო საზოგადოების კრებაზე, ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტმა ნ. დერჟავინმა წაიკითხა საეთნოგრაფიო მოხსენება საქართველოს ამქრების შესახებ. ამ კრებას, სხვათა შორის, დაესწრნენ ნ. მარიცა და გამოჩენილი ორიენტალისტი აკადემიკოსი ბ-ნი მილლერიც. არ მახსოვს, რა სიტყვა იყო, რომელიც ბ-ნმა მილლერმა ბერძნულად ჩასთვალა, მაგრამ საკმაო იყო ნ. მარის ერთი სიტყვა რომ იგი თავის შეცდომაში დარწმუნებულიყო.

განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს. ნ. მარი ქართველ სტუდენტებს და მათ მუდამ იმას უსაყვედურებს, რომ ძლიერ ცოტანი სწავლობენ სამშობლო ენასა და სამშობლო ლიტერატურას. მახსოვს, ერთხელ ჩემს იქ ყოფნის დროს, ერთი ქართველი სტუდენტი შემოვიდა ნ. მართან და ამცნო, რომ აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე შესვლა უნდა, მაგრამ ეშინია, რადგან ქართული ენა ძალიან ცუდად ვიცი. ნ. მარმა უთხრა:

— აი, ნეტავი, სრულიადაც არ იცოდე; მაშინ ის იმედი არ გექნებათ, რომ ქართული ენა იცით და სწავლას მოჰკიდებთ ხელს. თორემ ჩვენს სტუდენტებს ჰგონიათ, რომ ქართული საკმაოდ იციან და აქ არას აკეთებენო.

ჯერ კიდევ ჯან-ღონითა და ენერგიით სავსე ნ. მარი განაგრძობს თავის მეცნიერულ მუშაობას და, იმედია, ბევრს შესძენს, როგორც ჩვენ, ქართველებს, ისე მთელ კაცობრიობას. ვულოცავთ გამოჩენილ მსწავლულს იუბილეს და ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს.

კორდელი.

პასუხი პირველ სტუდენტს

„თანამედროვე ქვეყნის“ № 11-ში ვიხმე „პირველი სტუდენტი“ ღია წერილითა მსთხოვს დავასახელო ის „საუკეთესო სტუდენტი“, რომელიც კიევის დასელებმა „მავ-რაზმელად ძონათლეს. არსებითად ამ შეკითხვას მე არ ვიღებ, ვინაიდგან ავტორი „ღია ბარათისა“ ფსევდონიმს ქვეშაა ამოფარებული. თვით სიტყვა „ღია“ იმასა ნიშნავს, რომ ავტორია თავისი თავი უნდა გამოაჩინოს. როდესაც კიეველი სტუდენტი ნამდვილ ღია ბარათს მომწერს და თავის თავს გამაცნობს, მაშინ გავცემ არსებითად პასუხს და მაშინვე ვამცნობ, საჭიროდა და ღირსად მიმაჩნია მისი მოთხოვნის ასრულება თუ არა.

შინაური.

მუშათა ცხოვრება

✦ 1 ივლისს პეტერბურგის ზოგიერთ ქარხანაში. სამუშაოდ მოსულმა მუშებმა გაჰმართეს მიტინგები მუშათა პრესის დევნის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებელად, და გადასწყვიტეს: ამ მიზნით მოახდინონ ერთი დღით გაფიცვა. მალცერის ქარხნიდან მუშები გამოვიდნენ ქუჩაში სარევოლიუციო სიმღერით. დიდისა და კამენოოსტროვის პროსპექტების კუთხეში პოლიციელმა მოსთხოვა მუშებს, შეეწყვიტათ სიმღერა. მუშებმა არ დაიშალეს, გაიარეს რამდენიმე ქუჩა და შემდეგ წავიდ-წამოვიდნენ. პუტილოვის ქარხანაში გაიფიცნენ კომკიხ საამშენებლო განყოფილების მუშები და ნაწილი ვაგონთასაამშენებლო მუშებისა. ქარხანაში სულ 2.000 კაცი გაიფიცა. გაიფიცნენ მუშები რუსეთის უმავთულო ტელეგრაფის საზოგადოებისა 150 კაცი; კონრადის და ენგელის ქარხნის მუშები 130 კაცი; რუსეთ-ამერიკის საზოგადოების მუშებიც გამოვიდნენ ქუჩაში, სარევოლიუციო ლექსების მღერით გაიარეს რამდენიმე უბანი და შემდეგ დაიშალნენ. გაიფიცა 300 კაცი სემენსკის მექანიკურ ქარხნისა, ხოლო 150 კაცი აბრეშუმის საქსოვი ქარხნისა. გაფიცულია რამდენიმე სტამბა და პატარა ქარხანა. გაიფიცა 200 კაცი რუსეთ-ბალტიის ქარხნის საავიაციო განყოფილების.

✦ როგორც სატახტო გაზეთი გადმოგვცემს, პეტერბურგის სოც.-დემ. სანიციატივო ჯგუფს განუხილავს საკითხი მოკლე ხანში მომხდარ გაფიცვებისა. ჯგუფის აზრით, ეს გაფიცვები უარყოფითი ხასიათისაა, რადგანაც აუძლურებს მუშათა ძალას და დეზორგანიზაციას ახდენს მათში. რაც შეეხება მუშათა პრესის დევნის წინააღმდეგობას, ჯგუფს გადაუწყვეტია, რომ საუკეთესო იარაღი ამ მოვლენასთან საბრძოლველად არის მუშათა გაზეთებისათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენა.

✦ მოსკოვის ვაჭარ-მრეწველთა კრებამ გადასწყვიტა: რადგან ეხლანდელი გაფიცვები მოგვაგონებენ 1905 წ. გაფიცვებს და არა ეკონომიური ხასიათისას, აქიტომ მოთხოვნილებებს მუშებისას არ დააკმაყოფილებენ. რაც შეეხება ლოკაუტს იგი ნაადრევად არის ცნობილი.

✦ ნიკოლაევში გაიფიცა გემთა საშენებელ საზოგადოების 6.000 მუშა; მეორე გემთა-საშენებელ ქარხანაში გაიფიცა 2.500 მუშა.

✦ ეგარეის ბამბის მანუფაქტურაში 300 მუშაა გაფიცული.

✦ ლოძში გაიფიცა კიდევ 1000 მუშა; დაიხურა გაფიცვის გამო ლორენცკრუშეს ბაბის მანუფაქტურის ქარხანა.

რუსეთი

ინციდენტი ნევის პროსპექტზე.

სახალხო ბიბლიოთეკის მახლობლად, მეეტლემ ძალიან ახლო გაუარა მუნდირით გამოწყობილ ღენერალს, როდესაც იგი ქუჩას გადადიოდა. ღენერალს გული მოუვიდა და დაუწყო ცემა ჯოხით მეეტლეს. მეეტლემ ქუდი მოიხადა და ღენერალს პატიებას ემუდარებოდა. ღენერალთან მყოფი ახალგაზდა ქალიც სთხოვდა, თავი დაენებებინა, მაგრამ ღენერალი არ სცხრებოდა. აღელვებული ხალხი გარს შემოეხვია გაოფთრებულ ღენერალს. ამ დროს გამოიარა ვიღაც კაცმა, მაღალმა და ჭაღარამ, რომელმაც ყურადღება მიაქცია ღენერალის საქციელსა და მიჰმართა მას: „თქვენო აღმატებულებავ, ტყუილად იქცევით აგრე, კაცის ცემა და ისიც ნევის პროსპექტზე არ შეეფერება ძოხუც ადამიანსა და რუსის ჯარის ღენერალს“. ამ სიტყვებმა ღენერალი ძალიან გააცხარა. ღენერალსა და ამ გამვლელ კაცს შორის შეკამათება მოხდა. გამვლელმა სხვათა შორის ღენერალს უთხრა: „პატიოსანი კაცი აგრე არ მოიქცევაო“. გარს შემოხვეული ხალხი ცხად თანაგრძნობას უცხადებდა გამვლელს. დასასრულ გამვლელმა თავისი სადარბაზო ბარათი გადასცა ღენერალს, მაგრამ ღენერლისაგან ბარათი თითონ არ მიიღო. გვარი და მისამართი ამ გამვლელისა, ამბობს გაზ. „დენი“, ჩვენმა რედაქციამ იცისო. ეტყობა, ეს პირი დიდი „ვინმე“ უნდა იყოს.

გალკანეთის მოკავშირეთა შეტაკება

(დეპეშ. პეტ. საგეხტოსაგან)

5 ივლისი

ბელგრადი. ბულგარელების ცნობის გასაქარწყლებათ „პრეს ბიურო“ იუწყება, რომ ჟუტიკამიკასთან, კიუსტელლიას მახლობლად, დრამაძდის და კავალამდის ბულგარელებმა უკან დაიწიეს და არამც თუ უწინდელ მაკედონიის ოლქების სახღვარს გადასცილდნენ არამედ სრულიად დამარცხდნენ. სერბიელებისაგან დევნილი ბულგარელები იარაღსა ჭურიან და ჯუმაიუზე მირბიან. სერბიელების რაზმი შევიდა შუა ბულგარეთში და ქალაქი იზვორი აიღო, მაგრამ ვასილეგრადისაკენ დასწიეს ბულგარელებმა. ყველა ბულგარელების ჯარი სერბიელების ჯარის მარცხენა მხარესაკენ არის დაყენებული. ომი მთელი დღე გაგრძელდა. სერბიელები სამ მხრივად იბრძოდნენ. საღამოს 5 საათზე გამაგრებულმა სერბიელებმა გაჰფანტეს მტერი.

ბუქარესტი. მეფემ მიიღო მეფე ფერდინახდისაგან დეპეშა, რომლიდანაც სთხოვს დაეხმაროს ზავის

ტუჩები მხურვალე კოცნის მოლოდინში ვერხვის ფოთოლივით თრთოდნენ და ფიცხდებოდნენ“. თანაც თვით ატმოსფერა, თვით წრე და დეკორაცია, რომელშიც იგი იყო, ჟინის გამახელებელი იყო, გრძნობათა ამღვრევი: „ტყის ფარულა კუნჭულებიდან, იქ, სადაც სახეუჩინრად განისვენებს ულევი ვნება შავი ქვესკნელისა, ყმაწვილის გამახვილებულ სმენას განუწყვეტლად ჰხვდებოდა მძიმე ოხვრით შეზავებული სულთქმა სქესთა ტკბობისა... გრძნების წყურვილით გახელებული წითელი ხარხარი დაუცხრომლად იწვევდა ყმაწვილს ხორციელობის თავაშვებულ მეჯლისზე“.

მაგრამ ყველა ამას მტკიცედ ხვდებოდა ფიცის დამდები მეთევზე. საშინელი აღთქმის ერთგულებამ ყინულივით გააცივა მისი სისხლი. იგი მხოლოდ ერთს ვისმე ჰხედავდა ცხადად და ნიშანდობლივად, ყოველგან და ყოველთვის; მხოლოდ მას ერთს ელტვოდა მისი გრძნობა-გონება“.

და თითქმის კიდევაც მიაღწია დანიშნულ ვადას. ამ დროს მისი თვალის წინ აღიმართა ჩვენება მისთვის დაღუპულის სატრფოსი; მისმა მომხიბლავმა საუბარმა მისმა წარმტაცმა ვნებამ ყმაწვილი დაათრო, თავბრუ-დახვია; „ყმაწვილის გულს რაღაც მძლავრად მოეჭიდა, მთვრალივით შეტორტმანდა და ეგონოდ დანებდა აჩრდილის უხორცო მკლავებს“.

„აღსრულდაო!“ დასძენს ავტორი. დიაღაც რომ აღსრულდა ნება დემნურის, ფატალურის, სიამ-ტკბილობით მოწამლულისა და შხამით მოშაქრულის ინსტინქტისა, გრძნობის, მგრძნობელობის ნება და თვისება. მურამ არ აღსრულდა ნება ვაჟისა, რომლის გული სამარადისოდ დაკოდილი იყო ეგრეთის დიდის ენებით. აღსრულდა კი არა, დაიმსხვრა და დაიშალა მისი ოცნება, მისი რწმენა. მისი ცდა: აღსრულდა კი არა, გაცუდდა, უნაყოფოდ ჩაიარა მისმა შრომამ, მისმა ტანჯვამ და მოთმინებამ. „ზღვის ქალი“ კიბოლ კლდეზედ იყო განცხრომაში, მიუწდომელი და მიუკარებელი როგორც ყოველთვის. კლდის „მწვერვალზედ თეთრად ჰქათქათებდა ზღვის ქალის მშვენელი ტანი. მისი ვერცხლივით წკრიალა ხმა ლხენის მუსიკად ეფინებოდა მყუდრო გარემოს და, ნიავის მსუბუქ ფრთებზე შემჯდარი, საზაპიროებისკენ ივლტოდა ადამიანის სუსტი ნების საცდელად და საცდუნებლად“. და მეთევზემ წყევა-კრულვა უძღვნა მას, შეაჩვენა და შეაგინა, დასწყევლი თავისი ბედი, და ადამიანის უბედურების მწარე შემგნები—„ზღვის აჩქროლებულ წიაღს თავქვე გადაეშვა“.

მისი ზარი, სამგლოვიარო მუსიკა მისი, დასაფლავების ჟამს, ისევ ის უცნაური ხმა იყო, რომლითაც დაიწყო მისი ცხოვრება ვნებით—აღვსილი.

„მიწის შვილო, მოდით გამცნებთ;
„ყური უგდეთ ჩემ სიმღერას:
„მასში ისმენთ სიცოცხლის აზრს,
„მასში ჰპოებთ ბედის წერას“.

აკი მოგახსენეთ, ბ. ჭუმბაძემ საგანი რადიკალურად გადასჭრა და ამ მოთხრობით გაგვიცხადა, რომ ყოველივე რეალური განხორციელება სქესებრივის ინსტინქტისა, რომელიც უზენაესს სიფაქიზემდის მისულა, უაღრესად გამსხვილებულა და რომელიც, ეგრე გარდაქმნილი ადამიანთა კრებულში, მონათლულია სიყვარულის გრძნობად—ყოველივე მისი განცხადება სინამდვილეში მისივე საფლავია. გრძნობა დაკმაყოფილებული დასამარებულია, გრძნობა, რომელსაც მიაღწია ადამიანმა, უკვე მობეზრებული აქვი მას; ოცნება სინამდვილედ ქცეული გულგრილად სტოვებს მას. ის კი არა, სიმწარით ავსებს მის გულს იდეალი ცოცხალ მოვლენად ქცეული ამ სფეროში მაინც, და, სასოწარკვეთილებით აღვსილი, იგი „ზღვის აჩქროლებულ წიაღს“ მიანდობს თავის ბედსა და იღბალსა.

აღსანიშნავია ეს ბრძოლა სინამდვილისა და ოცნებისა და სახიფათოც არის იგი. ნუთუ შეურიგებელია ეს ორი მცნება, ნუ თუ სამარადისოდ დაღუპულია იმედი ამ ორის მოვლენის შედეგებისა და შეერთებისა. რა არის დაბოლოს ნამდვილი და საოცნებო, იდეალი და რეალი, თუ არ გაძოსახულება დიადის მიუწდომელის—„გამოუცნობელისა“, რომელიც აძლევს დასაბამს მთელს ჩვენ სიცოცხლეს, მთელს ცხოვრებასა და მოძრაობას სამყაროისას! ანა და ნუ თუ ერთხელ გაყოფილი, ერთხელ სხვა სახედ მოვლენილი ერთი, სიხტეზი ცისა და ქვეყნისა, აზრისა და გრძნობისა, სიკვდილისა და სიცოცხლის საუკუნოდ უნდა დამალული იყოს ადამიანთა თვალთათვის გამსქვირვალე საბურველით, რომელიც ვითომ კიდევაც აღგიძრავს იმედს საგნის დანახვისას და მასთანვე ყოველ წუთს ლეჩაქით ჰბურავს მას, რათა მარადის ბურუსითა და ჯანყით მოცული ეჩვენოს ადამიანთა გონებას ის, რასაც ზოგი განგებას უწოდებს, ზოგი კიდევ ღმერთს, რიგი ენერგიას და რიგი ბუნებას და რომლის არსებითი თვისება არის გამოუცნობელი და მიუწდომელი ძღვამოსილობა!

ბ. ჭუმბაძე, და არა თუ ბ. ჭუმბაძე, არამედ ჩვენი საუკეთესო წარმომადგენელი ახალის ლიტერატურისა ა. შანშიაშვილიც გვაუწყებს ამ ამ მოურიგებლობას იდეალისა და სინამდვილეს შორის თავისს უკანასკნელ ნაწარმოებში („მეფე-მგოსანი“ იხ. კრებული „გვირგვინი“ გამოცემა ს. ფირცხალავასი, ტფილისი 1913 წ.)

იმას კი ნუ იფიქრებთ, თითქოს ბ. ჭუმბაძე სენტიმენტალურად ეპყრობოდეს თავისს „ოცნების შვილს“ „ზღვის ქალს“ სიყვარულის იდეას, როგორც პლატონ ფილოსოფოსი ამბობდა, და სიყვარულის სიმბოლოს, დღეინდელი ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ. არა, ის შემკულია ყოველივე ჯოჯოხეთურის თვისებებით. ამისი საკმაო საბუთი ზევით მოვიყვანეთ. მაგრამ ეს არის ხორცშესხმული მცნება სიყვარულის—გრძნობისა და იგი მწვავე, იგი ტკბილი, იგი სამსალა-ნარევი და იგი შარბათით შეკაზმული — ეგრეთია „დამათრობელი“, „მაცთუნებელი“ „სამარადისო ლხენის“ წყარო, „თავაშვებული ნდომის გაფთრებული წყურვილი“, რომლის მოკვლა შეიძლება მხოლოდ თავის არსების მოსპობასთან ერთად, ხოლო რომლის დაკმაყოფილება კატასტროფას იწვევს ადამიანის არსებაში. მიუხედავად ყოველივე ამისა „წუთით განცდილი ბედნიერება“ სამარადისო სიტკბოების მომმასწავებელია, ჩვენის ავტორის აზრით, და მართო იგინი განიცდიან საუკუნო ნეტარებას, ვისიც მეხსიერება მდიდარია ასეთის წუთების მოგონებით.

— „ყური დამიგდეო — ეუბნება ახალგაზდა მეთევზეს აჩრდილი მისი სატრფოსი—საიქიოს ცხოვრებას ისეთივე ვნებანი აღელვებენ, როგორც სააქაოს. ადამიანის სულს არ უწერია სიამის განცდა—იგი ვერსად ვერ იპოვის სამარადისო მყუდროებას; მისი დანიშნულება და არსებობის გვირგვინი მხოლოდ სიყვარულია. სიყვარული სიტკბო-სიმწარითა ტ წამება-ლხენით შენაზავები. ნეტარ არს იგი, ვინც მისი ბანგით დამთვრალა და თვისი ხორცი მისი მღელვარების ტალღებისათვის მიუცია; რადგან მხოლოდ ასეთებისათვის ყოფილა განმზადებული საიქიოს მყუდრო სავანე. იგინი წლიდან წლამდე განუწყვეტლად იკვებებიან იმ ტკბილი მოგონებით, რომელიც ოდესმე მათი ცხოვრების ნამდვილ სახეს შეადგენდა. მათი სული უხვად ეწაფება განცდილი სიყვარულის ულეველ სამკვიდროს“.

„ხოლო უკურხებელი სულთქმა მუდამ გარს ახვევია ქალწულთა გუნდს... რადგან ძმიძეა დანამული ქალწულთა და შეუნდობელი ცოდვა მათი“...

ამ რიგად, ავტორმა თითქოს შეგვარიგა, თითქოს ერთგვარი შეთანხმება მოახდინა, ერთნაირი ზავი, ერთნაირი ჰარმონია ჩამოაგდო სამარადისოდ გათიშულ ოცნებასა და სინამდვილეს შორის. დიაღ, იდეა სიყვარულისა მარადის ჟამს განუხორციელებელია, მას არა აქვს არავითარი აბსოლუტური ხასიათი. იგი სწრაფელ-წარმავალია, და წუთიერი, ვითა ძთლად უბედური და ბედნიერი ჩვენი ცხოვრება. მაგრამ წუთიერიც საუკუნო, სამარადისო, ნეტარებად შესაძლოა შეიქმნეს „ნეტარ არს იგი ვინც მისი (სიყვარულის) ბანგით დამთვრალა“ მათთვის „გამზადებულია ტკბილი სავანე, „იგინი წლიდამ წლამდე განუწყვეტლად იკვებებიან ტკბილი მოგონებით“; ამ გვარად ბედნიერება წუთიერიც საუკუნოდ ხდება, სიხარული და სიტკბოება თავისთავად, განუსაზღვრელად მისი ხანგრძლივობისა, მარადისობით შემკულია. ამნაირად, ბ. ჭუმბაძე ღრმა და საფუძვლიან ნატურალისტურ პოზიციაზე სდგას: თუ მკვეთრად გაჰყოფს ოცნებასა და მის რეალურ განხორციელებას და მით შუა ურღვეველ კედელს ამოაშენებს, თუ აუვსებელ ორმოს გათხრის „საიქიოსა“ და „სააქაოს“ შორის, სამაგიეროდ გვარწმუნებს და გვიმტკიცებს, რომ ბედნიერება საააქაოშია, სიხარული სინამდვილეშია; წარმავალ მოვლენათა შორის არის იგი და სწორედ „სააქაოს“ მოგონებანი ხდებიან საიქიოს საუკუნო, სამარადისო მცნებად. სწორედ აქ, სინამდვილეში, მიღებული სიტკბო და ნეტარება—წუთიერი, წამიერი—ხდება საუკუნო ცხოვრებად, ვინაიდან იგი ცხოვრება სხვა არა არის ოა, თუ არ „ტკბილი მოგონება, რომელიც ოდესმე მათი ცხოვრების ნამდვილ სახეს შეადგენდა“.

და ეს მისი თაყვანისცემა სინამდვილისა, მთელის თვისებით, რომელიც სინამდვილეს ახასიათებს, იქამდის მიდის, რომ ლანდად ქცეულს, არჩრდილად ქმნილს ნამდვილსაც უმაღლესად აყენებს, უპირატესობას აძლევს ხორცშესხმულს იდეას, ოცნების წინაშე. მისთვის უფრო დიდი რეალობა აქვს ყრმა მეთევზის დაღუპული სატრფოს აღერსს, უფრო მეტი ფასი და ღირებულება აქვს მის ხვევნა-კოცნას, ვიდრე „საცდუნებლად“ და „დასაღუპავად“ მოვლენილის ზღვის ქალისას, რომლის გალობა გონებას უკარგავს ადამიანს და მიწას აგლეჯს; რომლის შეხედვა კაცს გრძნობათა სწორ გზას ააცდენს და სადღაც ფანტაზიის კოშკებსაკენ იწვევს, ვიღაც მიუწვდომელ მზეთუნახავისაკენ.

ყოველ შემთხვევაში ჩვენმა ავტორმა მეტად კათეგორიულად გვაძლია, რომ იდეალი სიყვარულისა, იდეა ამ გრძნობისა მიუწდომელია, რომ იგი საბედნიეროდ მიუღწეველია, და რომ არა არსებობს რა სამარადისო, ხანისგან ხელშეუხებელი, და არის ერთად-ერთი საუკუნო განცდა გრძნობისა, რომლის „ტკბილი მოგონება, ოდესმე მათი ცხოვრების ნამდვილ სახეს შეადგენდა“.

კაცი იფიქრებდა, რომ ბ. ჭუმბაძეს აქ უნდა დაესვა წერტილი და „სიყვარულის ბანგით დამთვრალთა“ ნეტარი ცხოვრება ჩვენ თვალთ წინ უნდა გადეშალა. მაგრამ, როგორც ჭგავს, ამ პრობლემას ასე ადვილად ვერა სჭრის იგი და ისევ უბრუნდება მას. მართალია, სრულიად პატარა ეტიუდია მისი უკანასკნელი „მოუკვლელი წყურვილი“, მაგრამ თავისის შინაარსით ფრიად საინტერესოა.

(შემდეგი იქნება)

კიტა ანანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე ჩამოგდებაში. ასეთივე შინაარსის წერილი მიიღო მეფის მეუღლე ელეონორასაგან.

ბელგრადი. „პრეს-ბიურო“ იტყობინება: ომის ველზე მდგომარეობა ასეთია: ბულგარელებმა გაგზავნეს ორი რაზმი ჯარისა კნიაჟევეც-ზეიჩარ პიროტ-ნიშისაკენ, სერბიელთა სამფლობელოში შესაჭრელად. პირველ რაზმს, რომელსაც გენერალი კუტინჩევი სარდლობს შესდგება 50 ბატალიონისა და 120 ზარბაზნისაგან. მეორეს სარდლობს ლენერალი პეტროვი და შესდგება 56 ბატალიონისაგან და 120 ზარბაზანისაგან. დაწყებისას ბულგარელების მიზანი ხორციელდებოდა, რადგანაც სერბიელები ბრეგალნიცისთან იყვენ ომით გართული. პატარა გამარჯვებისაგან ბულგარელები დამარცხდნენ და გაძევებული იქნენ სერბიის საზღვრებიდგან. უკან დაწევის დროს ბულგარელებმა სუკოვის ხიდი გაფუქეს. სერბიელებმა დაატყვევეს ბევრი ბულგარელები სერბიის ჯარის ტანისამოსში გადაცმული. სერბიელების ჯარი შეიჭრა ბულგარეთში 20 კილომეტრის მანძილზე, დაამარცხა ბულგარელები ბოსილეგრადთან, ხეობით გაიწია წინ კიუსტენდიულისაკენ და იქ გამაგრდა. ბულგარელებმა დაიწიეს ეგრიპალანკიდან. სერბიელები წარმატებულად მიდიან წინ ბრეგალნიცისაკენ. ცარევოსელოსაკენ სერბიელებმა ტარუჟნიკამენი აიღეს.

სოფია. მინისტრთა კაბინეტი შესდგა. თავმჯდომარე-რადოსლავოვია. გარეშ საქმეთა მინისტრად-გენადიევი.

ბელგრადი. მეფის თავმჯდომარეობით მოხდა ხანგრძლივი სხდომა მინისტერთა საბჭოსი, რომელსაც პაშიჩმა მოახსენა შედეგი სკოპლეში მომხდარ მისი და ვენიზელოსის შეხვედრისა, სხდომის შემდეგ პაშიჩმა ინახულა რუსის ელჩი. როგორაც საიმედო პირი გადმოგვცემს პაშიჩისა და ვენიზელოსის შეხვედრის შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. მთავრობის წრეებში ამბობენ, რომ სკოპლიეში შემუშავდა შემდეგი ბულგარეთის საზღვრები: ეგრიპალანკა—ჯუმაია ძველ ოსმალეთ—ბულგარეთის საზღვარზე, ჯუმაიიდან მდინარე სტუმისა და ვარდარის გაყოფამდის და ბერძნებისაგან მოთხოვნილ ადგილის ჩრდილოეთს საზღვრამდე. საზღვრები აღინიშნებიან დამოუკიდებელ მოლაპარაკების დროს.

სალონიკი. პაშიჩისა და ვენიზელოსის შორის სრული თანხმობა წინასწარ ზავის შესახებ: ბულგარეთმა უნდა უარჰყოს აზრი მაკედონიაში თავის მფლობელობის გაფართოვებისა; შესახებ ფრაკიისა ბერძნებს გადაწყვეტილი აზრი არ აქვთ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მოითხოვენ გარანტიას ბერძნებისას, რომელნიც ბულგარეთის სამფლობელოში მოექცევიან. ვენიზელოსი დღეს ათინაში მიდის. ბერძნებისა და სერბიელების შტაბში რუმინელი მხედრები მოვიდნენ, რომ შეათანხმონ სამხედრო მოქმედება.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

5 ივლისი.

უცხოეთი.

თეირანი. სალარ-ულ-დოულე დანებდა სპარსელ ყაზახებს იმ პირობით, რომ რუსის საელჩოს გადასცემენ მას.

ამ სამი კვირის განმავლობაში პირის შემთხვევა არ ყოფილა.

ძიუკიანი. პუკოპეს ჩრდილოეთით ელიან ნანკინის ჯარისა და გენერალ ჯანსუნის ჯარის შეტაკებას.

ბეირუტი. სირია-არაბეთის პარიზის კონგრესისგან გამოთქმულ სურვილის მიხედვით პორტამ განკარგულება მოახდინა, რომ სასამართლოებში და საადმინისტრაციო უწყებებში შემოღებულ იქმნეს არაბული ენა. ეგვიპტეს ხედივი სტამბოლს გამოივლის, რათა აღადგინოს ოსმალეთთან შერყეული მეგობრული განწყობილება.

ლონდონი. 3 ივნისს ლისაში გაფიცულებმა მოახდინეს არეულობა. დაარბიეს სასურსათო დუქნები. პოლიციამ ვერა გააწყო რა, რადგანაც ბოთლებისა და კვერცხების სროლა დაუწყეს გაფიცულებმა.

პეკინი. ჩუაობინ-ძიუნმა თავი დაანება პრემიერ მინისტრობას და შინაგან საქმეთა მინისტრობას, ახლად დანიშნული სუნლესიანი ამბობენ მოკლესო.

რუსეთი

პეტერბურგი. ბეჭდითი საქმის გამგე კომიტეტმა დაიჭირა № 131 გაზ. „ლუჩისა“ ტ „პრავდისა“, „ბირჟევედომოსტის“ რედაქტორი როზანოვი დაჯარიმა ქალაქის უფროსმა 500 მ.

პეტერბურგი. ქალაქის უფროსმა გამოაცხადა: რადგანაც მუშათა გაფიცვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში არ შესწყდა, ვაფრთხილებ, რომ ასეთი გაფიცვები კანონის ძალით სისხლის სამართლის დებულებით არის დასასჯელი. სენატის განმარტების მიხედვით ყველა ქარხნები სამხედრო უწყებისა, აგრეთვე ის ქარხნები, რომელთაც შეკვეთილი აქვთ სამხედრო და საზღვაო სამინისტროებისაგან რაიმე საქონელი ითვლებიან საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებად. ამიტომაც, ამ ერიდან ვინც ასეთ დაწესებულებაში გაიფიცება, ადმინისტრატიული წესით დასჯის გარდა, მიცემული იქნებიან სამართალში.

პეტერბურგი. გამოცხადებულია უმაღლესად დამტკიცებული დებულება საშუალო და წვრილ ვაჭრობა-მრეწველობის მოღვაწეთა კრებისა.

ხერსონი. საერთაშორისო ბანკის არტელშჩიკს ალექსანდრეს-ციხესა დგურზე ბოროტ-გამზრახველებმა წართვეს 34.900 მან.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჯუმბაძე.

მ. 66839 1629

ქალაქის სავადმყოფოები

მთავარი—მუხრანი, ბუჩა, 9.
ბელებრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ნერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან დარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჭარო მემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

ექიმი ა. ნ. ნიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. ხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილიანა.

გონორრეის (სუსუნჯატის) წინააღმდეგ უსაფრთხესი საშუალება:
„SALO—ПИЛЮЛИ“.
სწრაფად და არსებითად მოქმედებს და, ეკეთება აბრით, გონიერიულ საუნელებად ითვლება. დარიგება კოლოფში ფასი ხამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფებითა და ღირს 1 მ. და 1 მ. 80 კ.
აგრეთვე კარგად მოქმედებს შეტად გართულებულ და დაძველებულ ავადმყოფობის დროს და სულ მოკლე ხანში სრბა უწყვეტელ მდინარეობას.
დეპო: Петербургъ, разъѣзжая, № 7 аптека Б. Конгейма. იგზავნება ფასდებით. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. ითხოვეთ საფფთიაქო საკონლის კავკასიის ხაზოგადოების საკონტორაში.
Метцль 22238. 1038



1009

მ ი ი ღ ე ბ ა ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა ს!
14 ივლისიდან ტფილისში იწყებს გამოსვლას ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო 2 კაპეიკიანი გაზეთი

„ახალი აზრი“

შემდეგის პროგრამით: 1) სააგენტოსა და საკუთარის კორესპონდენტების დეპეშები. 2) წერილები ლიტერატურულ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებზე. სპეციალური წერილები. წერილები სახალხო კულტურისა და განათლების საკითხებზე. 3) ბელეტრისტიკა—ამბავები, მოთხრობები, ლექსები და სხვა ნაწარმოები სიტყვა-კაზმული მწერლობისა. 4) ფელეტონები და პატარა ფელეტონები. 5) კორესპონდენციები. 6) პროვინციის ცხოვრება. 7) რუსეთი. 8) საზღვარ-გარეთი. 9) აკადემიური ცხოვრება. 10) თეატრალური ცხოვრება. 11) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია და სხვა.

გაზეთის ფასი: ერთის წლით—4 მანეთი. ნახ. წლით 2 მ. 3 თვით—1 მ. 25 კ. 1 თვით—45 კ. ცალკე ნომერი ყველგან—2 კ.

განცხადებათა ფასი ხელ-მისაწდომია:—პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტისა—10 კ. მეოთხეზე—5 კ. შრომის მძებნელთათვის თითო განცხადება —20 კ. სამგლოვიარო განცხადება ერთხელ—1 მ. 50 კ.

საჭირონი არიან კორესპონდენტები დი აგენტები დაბა-სოფლებში.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ Тхинвальская ул. д. № 7. Редакція газ. „Ахали азри“. რედაქტორ-გამომცემელი თ. კეკელიძე. 1383.

მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № [illegible]

ახალ-ახალი
მტკვრისა თართი, ზღვისა, ლიქო, და სუდაკი.
ახალი მსხვილ-მარცვლოვანი
ხიზილალა|ქიტკა|
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება **მაღაზიაში მარტის დოში, იანი, ჯიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი **თევზეულობა** და
კონსერვები.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბეეტისიანეცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. ბ. კარაპეტიანეცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
კ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.
საღამოთი:
მ. გ. ბეეტისიანეცი: 6—7 საათ. რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004



1343.

საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საძოლისათვის
„პატოკსან“.
„პატოკსანი“ შეიცავს 42% შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 647.
„პატოკსანი“ საუკეთესო საშუალებაა საქონლის ლონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება ექ. იოტეიკოსი ლიეფეის შაქრის მრეწველთა კონგრესზე.
„პატოკსანი“ ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საკმლის მონელებაში, რაც თავის რიგად ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას.
„პატოკსანი“ ფხვნილია და ამიტომ შეიძლება ადვილად გადაურიოთ ქერში და სხვა საკმელში.
„პატოკსანი“ თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საკმელი.
ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ გაგზავნის დროს, ყოველგვარ ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოდ იგზავნება ამიერ-კავკასიისათვის.
წარმომადგენელი ამხანაგობა **„გეორგი რუსინოვ და ამხ.“** ტფილისში, ვერის დაღმართი № 12, ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს—ტფილისი“. 1384.

1078

ქ. შ. წ.-ჯ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
საზოგადოების გამოცემული და საკუთარი წიგნები:

ახალი ვარიანტი წმ, ნინოს ცხოვრებისა	4 კ.	ვეფხის ტყაოსანი,	60 „
ასპინძის ომი, ი. გოგებაშვ.	7 „	ვეფხის ტყაოსანი, ქართ. გამოცემა,	1—65 „
ამბავი ცხოველთა ხიმეფოსი, ნ. რუბაკ.	50 „	Законы Царя Вахтанга,	3—50 „
ანიის მნათობი,	10 „	თხზულ. რ. ერისთავისა მეორე ნაწ.	40 „
ამოდის, ნათდება, ვაჟა	15 „	„ ვაჟა-ფშაველისა	1 —
ალი, ლომაფარი	10 „	„ პუშკინისა	50 „
ანრდილი, ილია	5 „	„ ეკ. გაბაშვილისა	1—20 „
ბუნების ცოდნა, პოლ-ბერი	25 „	თავდადებულნი ქართველნი, ი. გოგ.	7 „
ბარტექ ძლევა-მოსილი	20 „	თავდადებ. ქართველი ეჯიფი, ი. გოგ.	5 „
ბურჯი ეროვნებისა,	20 „	თორნიკე ერისთავი,	35 „
გეომეტრია მეორე ნაწ., მ. ყიფიანისა	50 „	იავნანამ რა ჰქმნა?	5 „
გულივერის მოგზაურობა,	30 „	კონა, ი. გოგებაშვილი.	40 „
გაღდგილი, ი. ჯავავ.	5 „	კრილოვის არაკები, აკაკის ნათ.	50 „
გლეხთა განთ. პირვ. დრ. სცენები, ჯ.	7 „	კაკო ყაჩაღი,	5 „
დედა და შვილი, ჯ.	3 „	კაცია ადამიანი?!	20 „
ეროკლე მეფე და ინ. ქალი,	5 „	საარაკო თავგადას. ტაბტის მემკვიდრისა,	10 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

მთელ ქვეყნიერობაზე უთხელესი საათი „ბონერ“,
ნამდვილი ჟენევისა და 19 საგანი მხოლოდ 4 მ. და 85 კაპ.



ყველა სხვა საათი კარგი მომუშავე არ არის, რადგანაც როგორი სისუფთაოვითაც არ უნდა შეინახოთ ისინი, მტვერი, მაინც რადის მექანიზმში ქვედა სახურავებით და მათ მუშაობას აფერებს. ჩვენ მივიღეთ წარმომადგენლობა ახლად გაუმჯობესებულ ჯიბის საათებს „ბონერ“ **პატენტიანი შვეიცარიაში 51308** (აქამდე არ მომხდარა), რომელთაც ის წარჩინება აქვთ სხვა საათების წინაშე, რომ მექანიზმი მუდამ მჭიდროდ

არის დახურული, რადგან მექანიზმის მხრივ ასახდელი სახურავი არა აქვს და მისი მუშაობის დანახვა მხოლოდ ციფერბლატზე სჩანს. ამიტომ ვურჩევ ვეფლის შეიძინოს ეს პრაქტიკული და სწორედ მომუშავე საათი „ბონერი“, ლურჯი ფოლადისაგან (და არა შავი) ძლიერ თხელი, სითხე ვერცხლის მახეთიანს არ ადემატება, ფანტასტიურად მოკარაყებული ოქროთი ან ვერცხლის ციფერბლატიანი, ძლიერ მოხდენილი ნამუშევარი, გარედა ანკერის მეიტენიკით, მუშაობა 15 ქვით, მომართვა უნდა მხოლოდ ერთხელ 40 საათის განმავლობაში, „რეზონტუარი“. ეს საათი იგზავნება შემდეგი ნივთების წყობით: 1. სათეატრო ბინოკლი, ოთხის აბრომატიული შუბით, ჩვეულებრივი ზომა, რომელიც საგნებს ძლიერ შორე მანძილზე ადიდებს, 2. საუცხოო ძველი ამერიკელ ოქროსი, ორფა, 3. ანალვეარი ბრელოკი და ზამშის ბუდე 4. საათის ჭურდებისაგან გამოფრთხილებელი, 5. საზღვარ-გარეთის ტყავის პორტმანი 7 გასყოფ. მექანიკ. გასაღებ. 6. რეზინის ბეჭედი, დამკვეთის სახელით, მამის სახელით და გვარით, 7. პარიზ. ალსატოგრაფ., რომელიც როგორც ბუნებრივს აჩვენებს სხვა და სხვა სანახაობას, 8—13 6 ფრიდ საინტერესო მისი სურათი, 14. საუცხოო ბეჭედი ნამდვილ ამერიკულ ოქროსი **„დუბლე“**-სი თვლით. 15. ჯიბის საწერელი, 16. სამართველი **„à la Gillet“**, რომლის საშუალებითაც ყველის შეუძლიან უვნებლად იპარსოს, 18. სპ. წასასმელი ჩოთქი და 19. ჯამი. **ფასი 12 მ. მაგიერ მხოლოდ 4 მ. და 85 კ.** 2 წ ვბა 9 მ. და 20 კ. ესვეე წყობი ქალის საათით (აუხდელი მაიატენიკით) იმავე ფასში. საათები იგზავნება წუთამდე შემოწმებული 6 წლ. პირობით. ფასდადებით. გასაგზავნი ფასი 40 კ., (ციმბირში 75 კაპ.)

ადრესი: ამხ.—ბა „ელექტონი“, ვარშავა, განყოფ. 94
M. 382 8. 1361

სნეულებს
სპერმინ-პელია!

სპერმინ პელიათი მ არგებელ **ავადმყოფებს** ხშირად ატყუებენ მყვირალა რეკლამებით ფესლეულების სითხეებზე, ამასთანავე ამ რეკლამებში გასაოცარი უსირცხვილობით ამახინჯებენ ფაქტებს და მოჰყავთ დასასაბუთებლად უცხოელ მეცნიერთა სახელები და **„ბრომანი, რომელთაც თავის დღეში არ უნახავთ მათი პრეპარატები.** ჩვენ მოვალეობადა ვსთვლით, გავაფრთხილოდ ავადმყოფნი მოტყუებისაგან, რადგანაც მათ პრეპარატებს **სპერმინ-პელიას“-თან** და ხშირად შეიცავენ ჯან.-საღობისათვის მავნე ნივთიერებას.

ბრძოლაში: **ნევრასტენიასთან, სქესობრივ უძლურებასთან, მოხუცებულთა სიმჩატესთან, ისტერიასთან, ნერვალოგიასთან, სისხლნაკლულებასთან, ჭლექთან, სიფილისთან, ვერცხლის წლით წამლობის შედეგებთან, გულის ავადმყოფობასთან, (გადაჭრბებული სიმსუქნე, გულის კლეროზი, გულის ფრიალი, გულის-ცემა, მიოკარდიტი), არტერიო სკლეროზთან, ლოთობასთან, ხერხემლის გამოფიტვასთან, სიდამბლესთან, ავადმყოფის შემდეგ სისუსტესთან, დაქანცულობასთან** და **სხვ.**, მხოლოდ **სპერმინ-პელიამ** მიაღწია ჩინებულ შედეგებს, რასაც ჰმოწმობენ მთელ მსოფლიოს მეცნიერნი და მკურნალნი.

✦ საჭიროა ყურადღება მიაქციოთ სახელზე **„სპერმინ-პელია“** ✦ და უკუაყოთ ყოველგვარი სიყალბე და სითხეები სხვა და სხვა სახელებით, რომელთა მავნებლობაზე. ცალკე ბროშურაა გამოცემული; ბროშურა უფასოდ ეგზავნებათ **„სპერმინს“** ახალ ლიტერატურასთან ერთად.

„სპერმინ-პელია“ იყიდება ყველა აფთიაქსა და საფთიაქო მაღაზიაში.

ორგანოტერაპევტის ინსტიტუტი **პროფეს. ექიმი „პელი და შვ-გი“.**
მისი იმპერატორატორობითი უდიდებულესობის **სასახლის კარის მოვაჭრე.**
Метцль. 69730. **ს.-პეტერბურგი.** 1188

ნუნისის სამკურნალო აბანოს
(შორაპნის მაზრაშია).
სეზონი დაიწყო 1 ივნისს და გაგრძელდება 1 ოქტომბრამდე. 412.

მიტროფანე ლალიძის და ამხ.
ფრიად სასიამოვნო ლობისათვის მარგესი და სურნელების
სამკურნალო

სასმელი და ჯანმრთელობელი საამური გემოხილული, **და მინერალური**
წ ყ ა ლ ი
მზადდება საუკეთესო ხილეულის წვნისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად განწმენდილ მასალებისაგან, გამოხდილ და ნადუღი წყალით
გამოცდილ სპეციალისტის ხელმძღვანელობით.
რადგანაც ჩვენი ქარხნის წყალის ნაცვლად ხშირად დაბალ ღირსების წყალს აწვდიან პატივცემულ საზოგადოებას და აგრეთვე გავრცელებულია ჩვენი ეტიკეტის მიმსგავსებანი უმორჩილესად ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, **ყურადღება მიაქციოს ბოთლებზე ჩვენს ეტიკეტ ქარხნის ნიშნით და აგრეთვე თავსაცობს ზედ-წარწერით:**
„М. ЛАГИДЗЕ“.
ქარხნები: **ტფილისში, გოლოვ. პროსპ., № 6, ტელეფონი № 411;**
ქუთაისში, პუშკინის ქუჩა, № 5, ტელეფონი № 151. 1214